

შპს სექტანტა სპორტს მედია
სკ 400231806

*მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)
შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება*

2025 წლის 20 სექტემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 3

შემოსავებისა და ხარჯების ანგარიშგება 4

ფულადი სახსრების მოძრაობა..... 4

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები..... 7

შპს სეტანტა სპორტს მედია. ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/24	31/12/23	შენიშვნა
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	289,563	3,177,398	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,082,343	2,248,914	2
ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	4,533,617	3,778,808	
მარაგები	3,556		
სხვა მოკლევადიანი აქტივები	79,723	25,435	
სულ მოკლევადიანი აქტივები	5,988,802	9,230,555	
სხვა არამატერიალური აქტივები	9,763		
ძირითადი საშუალებები	2,310,455	1,819,828	4
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,320,218	1,819,828	
სულ აქტივები	8,309,020	11,050,383	
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	10,486,459	13,504,500	3
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3,141		
საგადასახადო ვალდებულებები	353,749	256,563	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	2,520,983	2,226,599	
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	13,364,332	15,987,662	
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-5,055,312	-5,004,058	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		66,779	
სულ საკუთარი კაპიტალი	-5,055,312	-4,937,279	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8,309,020	11,050,383	

დირექტორი: ლაშა მაჭავარიანი

შემოსავლისა და ხარჯების ანგარიშგება

	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები მომსახურების გაწევიდან	39,945,940	31,650,986
გაყიდვების თვითღირებულება	-31,044,241	-27,890,704
საერთო მოგება	8,901,698	3,760,282
სხვა საოპერაციო შემოსავალი	14,704	0
შრომის ანაზღაურება	-3,976,505	-2,577,749
ცვეთა / ამორტიზაცია	-133,806	-73,573
საპროცენტო ხარჯი	-208,642	0
იჯარის ხარჯი	-808,624	-488,660
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1,734,727	-1,023,877
ავტოტექ. მომსახურებისა და რემონტის ხარჯი	-68,467	-45,822
მივლინების ხარჯი	-505,357	-481,517
საკონსულტაციო/იურიდიული მომსახურება	-173,993	-117,322
სულ საოპერაციო ხარჯები	-7,610,121	-4,808,520
საოპერაციო მოგება	1,306,281	-1,048,238
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	5,778	-230,993
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	1,312,059	-1,279,231
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება / ზარალი	1,312,059	-1,279,231
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1,312,059	-1,279,231

დირექტორი: ლაშა მაჭავარიანი

შპს სეტანტა სპორტს მედია. ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობა

საოპერაციო საქმიანობა	2024 წელი	2023 წელი
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	36,793,350	36,411,183
მომწოდებლებზე, თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები და გადასახადები	-38,386,752	-31,624,281
საოპერაციო საქმიანობა სულ	-1,593,402	4,786,902
საინვესტიციო საქმიანობა		
კაპიტალური დანახარჯები	660,313	296,976
საინვესტიციო საქმიანობა სულ	660,313	296,976
საფინანსო საქმიანობა		
გადახდილი დივიდენდები	-2,099,960	-2,051,765
გაცემული სესხები	-543,964	-104,844
მიღებული/დაბრუნებული სესხები	321,124	-179,328
მიღებული პროცენტები	14,288	1,739
გადახდილი პროცენტები	-208,557	-190,415
პარტნიორების შენატანები კაპიტალში	597,880	66,779
საფინანსო საქმიანობა	-1,919,190	-2,457,833
ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა	-2,852,279	2,626,045
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-35,556	28,408
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3,177,398	522,945
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	289,563	3,177,398

დირექტორი: ლაშა მაჭავარიანი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

I	ნაშთი საანგ პერიოდის წინა წლის 1 იანვრისთვის (1/1/23)	-1,673,062
1	საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	66,779
2	ძირითადი საშუალებების გადაფასება	
3	ინვესტიციების გადაფასება	
4	მოგება ზარალის ანგარიშში აუდიარებელი შემოსულობა ან ზარალი	
5	მოცემული პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი	-1,279,231
6	დარიცხული დივიდენდები	-2,051,765
7	სხვა ცვლილებები საკუთარ კაპიტალში	
II	ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისთვის (1/1/24)	-4,937,279
1	საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	669,868
2	ძირითადი საშუალებების გადაფასება	
3	ინვესტიციების გადაფასება	
4	მოგება ზარალის ანგარიშში აუდიარებელი შემოსულობა ან ზარალი	
5	მოცემული პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი	1,312,059
6	დარიცხული დივიდენდები	-2,099,960
7	სხვა ცვლილებები საკუთარ კაპიტალში	
III	ნაშთი საანგარიშო წლის ბოლოსათვის (31/12/24)	-5,055,312

დირექტორი: ლაშა მაჭავარიანი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სეტანტა სპორტს მედია“-ს (შემდგომში „კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

საფირმო სახელწოდება: შპს სეტანტა სპორტს მედია
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400231806
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 05/03/2018
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიხეილ ასათიანის ქ., N 10
მმართველობის ორგანო: საერთო კრება
ხელმძღვ-ბა/წარმომადგ-ბა: დირექტორი ლაშა მაჭავარიანი, 01024044741, ერთპიროვნული
კაპიტალი: ნებადართული კაპიტალი არ არის განსაზღვრული
განთავსებული კაპიტალი: არ არის განსაზღვრული

წილის მესაკუთრე; რაოდენობა; წილი;
ლაშა მაჭავარიანი, 01024044741 /საქართველო/; 100; 1000%;

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს უცხოელი მომხმარებლებისაგან სარეკლამო მასალის მოზიდვა და განთავსება სპორტული კონტენტის არხებზე, რომელთა ძირითადი წარმომადგენელიც არის კომპანია ეურსიან ბროდქასტინგ ენთერფრაიზ ლიმიტიდ (ბრიტანეთი). შესაბამისად, ეს უკანასკნელი არის შპს სეტანტა სპორტს მედია-ს ძირითადი მომწოდებელი.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა

ამ ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები განხილულია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა (მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ძირითადი ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს, კერძოდ კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები ასახულია ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად და

შპს სეტანტა სპორტს მედია. ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში გადაყვანით აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანიის ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას მაშინ ამატებს მისი შემცვლელი ნაწილების თვითღირებულებას, როდესაც მოხდება დანახარჯების გაწევა, თუ მოსალოდნელია, რომ შემცვლელი ნაწილი კომპანიას მომავალში მოუტანს სარგებელს. სარემონტო და ტექნომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც დანახარჯები გაიწევა.

აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება რომ აქტივის თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს შემდეგ საზღვრებში:

მანქანა დანადგარები - 5 -10 წელი

ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5 - 10 წელი

სატრანსპორტო საშუალება - 10 - 15 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო სააღრიცხვო თარიღის შემდგომ.

აქტივების საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ასანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულება. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღიარებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და

შპს სეტანტა სპორტს მედია. ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დაკმაყოფილებულია კომპანიის შესაფერისი კრიტერიუმები: კომპანია ძირითადი საქმიანობა მოიცავს ვაჭრობას ელექტროსაყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით.

მოგებიდან გადასახადი. მოგებიდან გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კანონმდებლობის იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც ძალაში შესულია ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. 2017 წლის 1 იანვრამდე კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯი/(შემოსავალი) შედგებოდა მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან და აღიარდა წლის მოგება ან ზარალში.

2016 წლის 13 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად კომპანიებს(ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ ევალებათ მოგების გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის სახით ან კომპანიას არ ექნება დივიდენდის სახით მისი განაწილების განზრახვა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშგებო პერიოდში დაგროვილი მოგებიდან გაცემული დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებული ღირებულების მიხედვით, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო აქტივი, გამოთვლილი, როგორც დასაბეგრი მოგების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ხვედრითი წილი იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების მიმართ, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო აქტივის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოგების გადასახადის ფაქტობრივ ოდენობას, რომლითაც დაიბეგრება განაწილებული დივიდენდები.

დივიდენდების გადახდის შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც გაიცა დივიდენდები, დივიდენდების გამოცხადების პერიოდის მიუხედავად.

2. ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასებისა და ხელმძღვანელობის მსჯელობის ძირითადი წყაროების შესახებ

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულების შესრულებას კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ფუნქციონირებადობის უარის შეფასებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები, კომპანიის ახლანდელი მიზნები და მომავლის შესახებ თავისი მოლოდინები.

1 ფული და ექვივალენტები

	დასახელება	შესადარისი პერ		საანგარიშო პერ	
		დებ 1/1/24	კრედ 1/1/24	დებ 31/12/24	კრედ 31/12/24
1200	ფული საბანკო ანგარიშებზე	3,177,398		289,563	

2 სავაჭრო მოთხოვნები

შპს სეტანტა სპორტს მედია. ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

	დასახელება	შესადარისი პერ		საანგარიშო პერ	
		დებ 1/1/24	კრედ 1/1/24	დებ 31/12/24	კრედ 31/12/24
1400	მოკლევადიანი მოთხოვნები	2,248,914		1,082,343	

3 სავაჭრო ვალდებულებები

	დასახელება	შესადარისი პერ		საანგარიშო პერ	
		დებ 1/1/24	კრედ 1/1/24	დებ 31/12/24	კრედ 31/12/24
3100	მოკლევადიანი ვალდებულებები		13,504,500		10,486,459

4 ძირითადი საშუალებები

	საოფისე ინვენტ	მსუბუქი ავტომ	კომპიუტ ტექნ	ელექტრნ მოწყ	კავშირ მოწყ	ავეჯი ოფისის	იჯარით აღებული ქონების კეთილმ	ჯამი
საწყ დირ 1/1/24	10,963	827,213	31,370	43,850	58,260	91,153	44,236	1,107,044
აკუმ ცვეთა 1/1/24	1,255	253,444	4,294	3,499	12,028	12,322	6,533	293,375
საბალ დირ 1/1/24	9,708	573,769	27,076	40,351	46,232	78,831	37,702	813,669
შემოსვლა	33,611	576,392	17,266	16,795	6,553	12,722	8,206	671,545
გასვლა	11,311	32,450	0	1,236	0	0	0	44,997
ცვეთა	3,366	84,568	6,644	9,728	7,366	15,578	6,555	133,806
საწყ დირ 31/12/24	33,263	1,371,155	48,636	59,409	64,813	103,875	52,441	1,733,592
აკუმ ცვეთა 31/12/24	4,621	330,364	10,938	13,226	19,394	27,900	13,089	419,533
საბალ დირ 31/12/24	28,642	1,040,791	37,697	46,183	45,419	75,974	39,353	1,314,059

კომპანიას ბალანსზე აქვს ასევე 1,006,159ლ-ის საბალანსო ღირებულების მიწის ნაკვეთი (არაამორტიზებადი აქტივი). დანარჩენი ძირ საშ სასარგებლო სამსახურის ვადები მოყვანილია განმარტებით სენიშვნებში ზემოთ.

5 არამატერიალური აქტივები

	სხვა აქტივები
საწყ დირ 1/1/24	0
აკუმ ცვეთა 1/1/24	
საბალ დირ 1/1/24	0

შპს სეტანტა სპორტს მედია. ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შემოსვლა	10,100
გასვლა	0
ცვეთა	337
საწყ დირ დირ 31/12/24	10,100
აკუმ ცვეთა 31/12/24	337
საბალ დირ 31/12/24	9,763

დირექტორი: ლაშა მაჭავარიანი

